ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სოციალურ, განათლების, კულტურისა
და სპორტის საკითხთა კომისია

ოქმი:**ო47. 47260902**

თარიღი:**31/03/2026**

სოციალურ, განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხთა

კომისიის სხდომის

ოქმი N3

დ. ჩოხატაური 24 მარტი 2026 წელი.

<u>თავმჯდომარეობდა:</u> ზვიადი მამალაძე.

ესწრებოდნენ: ზაალ მამალაძე, ქეთევან სიხარულიძე, გოჩა ჯიქია, მამუკა ცინცაძე, ლალი კორიფაძე, სოფიკო ჯინჭარაძე, სერგო კობიძე, გიორგი მათითაშვილი.

არ ესწრებოდნენ: გივი ჩხიკვაძე, ლევან მეგრელიშვილი, მინდია დოლიძე.

ნინო მგალობლიშვილი -საკრებულოს აპარატის საოქმო - სამდივნო მომსახურების განყოფილების უფროსი სპეციალისტი;

მოწვეული მერიიდან:

ნიკოლოზ დუმბაძე - მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი;

გია გიორგაძე - მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი;

თამარ კეკელიძე - ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დირექტორი;

მარიკა შოშაშვილი - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურუდიული პირი ჩოხატაურის; მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის დირექტორი;

ზაურ ოსეფაიშვილი - არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის გურიის ერისთავების რეზიდენციის და დენდროლოგიური ბაღის მენეჯერი;

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგის პროექტი შემდეგი ფორმულირებით

1. .ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის შესახებ''ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ანგარიში

2025 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ.

3. ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ანგარიში 2025 წელში გაწეული საქმიანობისა და 2026 გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ.

4.გურიის ერისთავების დენდროლოგიურ ბაღსა და რეზიდენციასთან დაკავშირებით, ა(ა)ი.პ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობისა და გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ.

5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე,

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _9

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 9 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ნიკოლოზ დუმბაძე

მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ანგარიში 2025 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ.

მომხსენებელი: გია გიორგაძე

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

3. ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ანგარიში 2025 წელში გაწეული საქმიანობისა და 2026 გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ.

მომხსენებელი: თამარ კეკელიძე

ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დირექტორი

4.გურიის ერისთავების დენდროლოგიურ ბაღსა და რეზიდენციასთან დაკავშირებით, ა(ა)ი.პ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობისა და გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ.

მომხსენებელი: მარიკა შოშაშვილი ა(ა) ი.პ ჩოხატაურის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის

დაცვის ცენტრის დირექტორი

მომხსენებელი:ზაურ ოსეფაიშვილი - არაფორმალური განათლებისა

და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის გურიის ერისთავების რეზიდენციის და დენდროლოგიური ბაღის მენეჯერი;

5 ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

მომხსენებელი: ზვიად მამალაძე

სოციალურ, განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხთა

კომისიის თავმჯდომარე

I საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ნიკოლოზ დუმბაძე

მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი

აზრი გამოთქვა: კომისიის თავმჯდომარემ ზვიად მამალაძემ მიმართა პრექტის ავტორს მერიის ხელმძღვანელობასთან ერთად განიხილონ 2026 წელში ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების შემდეგი სახის ცვლილებების შეტანის საკითხი;

,,**მუხლი1**. **ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება.’’**

- ქვეპროგრამით მოსარგებლე ოჯახებს მიენიჭათ დაწესებული სარეიტინგო ქულა;

- ქვეპროგრამით მოსარგებლეებს ერთჯერადი ფულადი დახმარება ნაცვლად 200 ლარისა,მიეცემათ 400 ლარი .

,,მუხლი 14. ონკოლოგიური სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება და მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურება.’’

ნაცვლად წარმოდგენილისა თითოეული ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების ხარჯი განისაზღვროს წელიწადში 2000 (ორი ათასი) ლარით,საიდანაც მედიკამენტების წლიური ხარჯი არ უნდა აღემატებოდეს 1000 (ათასი)ლარს.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _9

წინააღმდეგი _0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 9 წევრი)

მიღებულია გადაწყვეტილება:

კომისიამ განიხილა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე წარმოდგენილი დადგენილების პროექტი და გადაწყვიტა მერიის მიერ აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინების შემთხვევაში გადაეცეს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.(იხ დასკვნაში)

II საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ანგარიში 2025 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ.

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ანგარიში 2025 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ.

მომხსენებელი: გია გიორგაძე

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

აზრი გამოთქვა: კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე,

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _9

წინააღმდეგი _0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 9 წევრი)

მიღებულია გადაწყვეტილება:

კომისიამ განიხილა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ანგარიში 2025 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ და გადაწყვიტა გადაეცეს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

III საკითხი: ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ანგარიში 2025 წელში გაწეული საქმიანობისა და 2026 გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ.

მოისმინეს:

ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ანგარიში 2025 წელში გაწეული საქმიანობისა და 2026 გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ.

მომხსენებელი: თამარ კეკელიძე

ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დირექტორი

აზრი გამოთქვა: კომისიის თავმჯდომარემ ზვიად მამალაძემ გამოთქვა სურვილი, რომ მოიწვიონ

ჩვენი რაიონის მკვიდრნი ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებლები გედევან ჯინჭარაძე და რამინ მიქაბერიძე თავის ანსამბლებთან ერთად და ჩატარდეს მუსიკალური საღამო.

გოჩა ჯიქიამ აღნიშნა, რომ სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების დარბაზი, ავარიულ მდგომარეობაშია და საჭიროებს სარემონტო სამუშაოების ჩატარებას.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _9

წინააღმდეგი _0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 9 წევრი)

მიღებულია გადაწყვეტილება:

კომისიამ განიხილა ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ანგარიში 2025 წელში გაწეული საქმიანობისა და 2026 გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ და გადაწყვიტა გადაეცეს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

IV საკითხი: გურიის ერისთავების დენდროლოგიურ ბაღსა და რეზიდენციასთან დაკავშირებით, ა(ა)ი.პ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობისა და გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ.

მოისმინეს: გურიის ერისთავების დენდროლოგიურ ბაღსა და რეზიდენციასთან დაკავშირებით, ა(ა)ი.პ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობისა და გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ.

მომხსენებელი: მარიკა შოშაშვილი

ა(ა) ი.პ ჩოხატაურის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის დირექტორი

მომხსენებელი: ზაურ ოსეფაიშვილი - არაფორმალური განათლებისა

და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის გურიის ერისთავების რეზიდენციის და დენდროლოგიური ბაღის მენეჯერი;

აზრი გამოთქვა:

მარიკა შოშაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო მაისის თვეში სამუზეუმო კვირეულის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ და აღნიშნა, რომ იგეგმება საგვარეულო შტოს ისტორიის გაცოცხლება,რომელსაც დაესწრებიან ისტორიკოსები და მოწვეული სტუმრები, რაც ხელს შეუწყობს დენდროლოგიური ბაღის კულტურულ და ისტორიულ განვითარებას.რაც შეეხება ძველ შენობება - ნაგებობებს, აღდგენის ნაცვლად შესაძლებელია მოეწყოს სასაუზმე სივრცეები სიძველეში.გარდა ამისა სურვილი აქვთ შეექმნას საშაბათო ან საკვირაო სკოლა კონკრეტული მიმართულებით.ასევე აღნიშნა. რომ არსებობს შტატების სიმცირე დასუფთავების და ელექტროობის მიმართულებით.

ზაურ ოსეფაიშვილმა ისაუბრა 18 ძირი გამხმარი ხის მოჭრა-დამუშავებაზე, რომელიც საფრთხეს წარმოადგენს ბავშვებისთვის და სტუმრებისთვის. რისთვისაც ესაჭიროებათ ტექნიკური მხარდაჭერა.

გურიის ერისთავების დენდროლოგიურ ბაღსა და რეზიდენციაში საჭიროა ექსკურსიის ხელმძღვანელის (გიდი),თანაშემწისა და ზედამხედველის შტატის დამატება.

ზვიად მამალაძემ გამოთქვა სურვილი ,რომ მერთან და კომისიის წევრებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს გურიის ერისთავების დენდროლოგიური ბაღისა და რეზიდენციის განვითარების გეგმის შემუშავებაში.

მიღებულია გადაწყვეტილება:

კომისიამ განიხილა და ცნობად მიიღო გურიის ერისთავების დენდროლოგიურ ბაღსა და რეზიდენციასთან დაკავშირებით, ა(ა)ი.პ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობისა და გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ.

V საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

მოისმინეს:

5.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

მომხსენებელი: ზვიად მამალაძე

სოციალურ, განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხთა

კომისიის თავმჯდომარე

აზრი გამოთქვა: კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე,

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _9

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა -0

(კენჭისყრას ესწრებოდა 9 წევრი)

მიღებულია გადაწყვეტილება:

კომისიამ განიხილა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმა და გადაწყვიტა გადაეცეს საკრებულოს ბიუროს .

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ზვიადი მამალაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სოციალურ, განათლების, კულტურისა და სპორტის
საკითხთა კომისია-კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი